ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 7

12 მარტი, 2026 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე. სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

ბექა ოდიშარია

ქეთევან ჭავჭანიძე

ვალერიან პაპუაშვილი

მიხეილ რეხვიაშვილი

ნოდარ ბოკერია

ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ეფრემ ზაქარიაძის III შესახვევისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის, პროფესორის **გურამ თავართქილაძის** ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის **ვლადიმერ ლობჟანიძის I შესახვევის** სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ექიმის გასასვლელის მონაკვეთისთვის და ექიმის შესახვევისთვის **სოლომონ დოდაშვილის I გასასვლელის** სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ფარნავაზ მეფის I ჩიხისთვის და მასთან მდებარე უსახელო მონაკვეთისთვის **ფარნავაზ მეფის I გასასვლელის** სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, **წმინდაწყლის I ჩიხის** გაგრძელების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. „მუხიანი-2" -ის დასახლებაში **საირმის I შესახვევის** სახელის გაუქმების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, **ლვოვისა და ბუდაპეშტის** ქუჩების გავრცელების არეალის დაზუსტების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო გასასვლელისთვის **კედარის III და IV გასასვლელის** სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფარიხან სოფიევას ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის **ფარიხანუმ სოფიევას** სახელის მინიჭების შესახებ

10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. ,,მუხიანი-2" -ის დასახლებაში, **ზნაკვის ქუჩის** გავრცელების არეალის დაზუსტების შესახებ.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის პროფესორის გურამ თავართქილაძის სახელის მინიჭების პროცესი უკვე გარკვეული პერიოდია მიმდინარეობს. ოჯახთან ერთად განხილული იქნა არაერთი ვარიანტი. ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაძალადევის რაიონში, ეფრემ ზაქარიაძის III შესახვევს და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს საზოგადო მოღვაწის, პროფესორის გურამ თავართქილაძის ქუჩის სახელი მიანიჭოს.

ლევან აბაშიძის განცხადებით, კომისიის მიერ შესწავლი იქნა ისნის რაიონში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია. ხსენებულ ქუჩასთან წარმოქმნილია მონაკვეთი, რომელიც ასევე სოლომონ დოდაშვილის სახელს ატარებს. აღნიშნული მონაკვეთს არ აქვს გეგმარებითი კავშირი ძირითად, სოლომონ დოდაშვილის ქუჩასთან და ესაზღვრება ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩას. მიზანშეწონილია მონაკვეთს ვლადიმერ ლობჟანიძის I შესახვევად ჩამოყალიბება.

ანალოგიური მდგომარეობაა მიმდებარედ არსებულ ექიმის შესახვევთან და გასასვლელთან დაკავშირებითაც. მიზანშეწონილია აღნიშნული მონაკვეთები გაერთიანდეს ერთ ობიექტად და ეწოდოს სოლომონ დოდაშვილის I გასასვლელის სახელი.

კომისიის სხდომაზე ტაბახმელაში, ფარნავაზ მეფის I ჩიხისთვის და მასთან მდებარე უსახელო მონაკვეთისთვის ფარნავაზ მეფის I გასასვლელის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს.

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი გააცნო და მათთან ერთად ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში მდებარე წმინდაწყლის I ჩიხის მონაკვეთის ძირითად ქუჩასთან გეგმარებითი კავშირის აღდგენის უზრუნველსაყოფად, წმინდაწყლის I ჩიხის გაგრძელების აუცილებლობაზე ისაუბრა. როგორც ლევან აბაშიძემ აღნიშნა, წმინდაწყლის ქუჩის და მასთან მდებარე I ჩიხის გავრცელების არეალის დაზუსტების მოთხოვნით კომისიას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტმა მომართა.

რაც შეეხება გლდანის რაიონში, ე.წ. ,,მუხიანი-2" -ის დასახლებაში საირმის I შესახვევის სახელის გაუქმებას, ლევან აბაშიძის ინფორმაციით, მუხიანი-2-ის

დასახლებაში მდებარე საირმის I შესახვევის მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხს.

კომისიის სხდომაზე საბურთალოს რაიონში მდებარე ბუდაპეშტისა და ლვოვის ქუჩების გავრცელების არეალების დაზუსტებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. როგორც ლევან აბაშიძემ აღნიშნა, ლვოვის ქუჩის გავრცელების არეალის ფაქტობრივი შესწავლისას დგინდება, რომ ქუჩას ქალაქგეგმარებითი კავშირი არ აქვს ბუდაპეშტის ქუჩასთან. მიზანშეწონილია დაზუსტდეს ლვოვის ქუჩის დასასრულის მდებარეობა, კერძოდ, 01.10.12.031.002 საკადასტრო ერთეულთან არსებული X 479845-Y4619991 გეოგრაფიული გრძედისა და განედის გადაკვეთის წერტილი განისაზღვროს ლვოვის ქუჩის დასასრულად, ხოლო ბუდაპეშტის ქუჩიდან 01.10.12.031.002 საკადასტრო ერთეულის წითელ ხაზამდე არსებული მონაკვეთი ჩამოყალიბდეს ჩიხად და მიენიჭოს ბუდაპეშტის I ჩიხის სახელი.

ლევან აბაშიძის განცხადებით, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლისას დადგინდა, რომ ქუჩასთან მდებარეობს ორი უსახელო გეოგრაფიული ობიექტი. ხსენებული გეოგრაფიული ობიექტები ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს კედარის ქუჩის გასასვლელებს და მიზანშეწონილია მათი III და IV გასასვლელად ჩამოყალიბება.

როგორც ცნობილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს #432 განკარგულებით, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭა სახელმწიფო მოღვაწის, მსოფლიოში პირველი არჩეული მუსლიმი ქალი დეპუტატის ფარიხან სოფიევას სახელი. სახელდება განხორციელდა საქართველოს ეროვნული არქივის მონაცემების საფუძველზე. ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტაციის თანახმად კი, ქალბატონი სოფიევას სახელია ფარიხანუმ. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კრწანისის რაიონში, ფარიხან სოფიევას ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს კომისიის გადაწყვეტილებით სახელმწიფო მოღვაწის ფარიხანუმ სოფიევას სახელი მიენიჭება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი გლდანის რაიონში, ე.წ. „მუხიანი-2" -ის დასახლებაში, ზნაკვის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტებას ეხება. ზნაკვის ქუჩის დასასრულად უნდა განისაზღვროს X486974 Y4625233 გრძედისა და განედის გადაკვეთის წერტილი.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე